პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 199 (11505) | ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.


## მეცნიერთა პაგოუშის კონფერენციას

**სინკერს ლოჯი, პაგოუში, ნოვა სკოტია, კანადა**

ძვირფასო მეგობრებო!

მინდა საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით მოგესალმოთ მეცნიერთა კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც მოწვეულია კაცობრიობისათვის იმ საფრთხის საკითხის განსახილველად, რომელსაც წარმოადგენს ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა შეშფოთებას, რომელნიც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამ იარაღის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს არა ნაკლებ საშინელი შედეგები, ვიდრე ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებას. შემთხვევით როდი დაგმეს ხალხებმა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი და სამხედრო მიზნით მისი გამოყენება აკრძალა საერთაშორისო შეთანხმებით — ჟენევის 1925 წლის ოქმით.

საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, მტკიცე მომხრეა იმისა, რომ აიკრძალოს ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღი, მათ შორის როგორც ატომური, ისე ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. ჩვენ მიგვაჩნია, [illegible] გამოყენება ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპებს, საერთაშორისო [illegible] ნორმებსა და ხალხთა სინდისს.

თქვენ, როგორც ავტორიტეტულ მეცნიერებს, შეგიძლიათ ღირსეული წვლილი შეიტანოთ ისეთი ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომელშიც გამოიყენებენ ატომურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღს.

მხურვალედ ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეთ წარმატებას მათ კეთილშობილურ საქმიანობაში.

**ნ. ხრუშჩოვი,**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ დრადი

## მხარი დავუჭიროთ თეთრწყაროელთა თაოსნობას

**უ**დიდესი აღმავლობით იბრძვიან სოფლის მეურნეობის მშრომელები ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისათვის — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. ამ მიზნით ადგილებზე მოქმედებაში მოჰყავთ მთელი რეზერვები, რათა ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი, შექმნან ჩვენს ქვეყანაში ხორცისა და რძის პროდუქტების სიუხვე.

სწორედ ეს კეთილშობილური, ჰუმარიტად პატრიოტული გრძნობები ამოძრავებდათ თეთრწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, როცა მათ რაიონულ თათბირზე გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. ამასთან დაკავშირებით მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით — ვადამდე შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი 1959 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თეთრწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა და წინადადება მისცა საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ თეთრწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივას.

სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თეთრწყაროს რაიონის სოფლის მშრომელებმა შემოქმედებითად დაიწყეს ბრძოლა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. მათ მიზნად დაისახეს დიადი შვიდწლედის პირველ წელსვე მიეღწიათ გარკვეული წარმატებებისათვის და უწინარეს ყოვლისა გარღვევიდან გამოეყვანათ რაიონის მეურნეობის წამყვანი დარგი — მეცხოველეობა. ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად დარაზმეს მთელი ძალები, აამოქმედეს არსებული რეზერვები და თვალსაჩინო მიღწევებიც მოიპოვეს. ამაზე ნათლად მეტყველებენ კონკრეტული ფაქტები.

„უკვე დიდი ხანია საბჭოთა ადამიანების ტრადიცია გახდა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდ მოვლენებს ხვდებოდნენ ახალი შრომითი წარმატებებით, — ნათქვამია თეთრწყაროელთა მიმართვაში. — სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს ვადამდე შევასრულოთ მიმდინარე წლის ჩვენი ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. **წელს მიზნად დავისახეთ ვაწარმოოთ 58.100 ცენტნერი რძე, 22.036 ცენტნერი ხორცი, 1.240 ცენტნერი მატყლი.** ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ჩვენი რაიონის მეცხოველეებმა გადაწყვიტეს **შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი ხორცის დარგში 7 ნოემბრისათვის, რძისა — 1 დეკემბრისათვის, მატყლისა და კვერცხის დარგში — 1 ოქტომბრისათვის. ვალდებულებათა შესრულების შემდეგ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით მივცემთ სამშობლოს სულ მცირე 1.000 ცენტნერ ხორცსა და 1.750 ცენტნერ რძეს“.**

ეს არის ნამდვილად გულმართალი, აღფრთოვანებული პასუხი იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც სოფლის მეურნეობისადმი, მისი შემოქმედი მშრომელებისადმი მუდმივად იჩენენ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ეს არის საქმიანი გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ მიმართვაზე, რომელმაც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელს მოუწოდა: **უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის!..**

თეთრწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მაგალითი მოწმობს იმას, რომ თუ სერიოზული პასუხისმგებლობით მოვკიდებთ საქმეს ხელს, თუ სათავეში ჩავუდგებით მასების შემოქმედებითს აღმავლობას და საქმის ცოდნით, უნარიანად გავუძღვებით მეურნეობას, ადვილად დავძლევთ სიძნელეებს და სასურველ შედეგებსაც მივაღწევთ.

## შევქმნათ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე

### კეთილშობილური საქმე

**ჩოხატაური.** (საკ. კორ.). კოლმეურნეები, საზოგადოებრივი მეცხოველეობის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვას.

— სამშობლო ჩვენგან მეცხოველეობის მეტ პროდუქტებს მოელის,— განაცხადა ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მეფარიშვილმა, — ჩვენი არტელის წევრებს ეს კარგად აქვთ შეგნებული, ამიტომ ყველა რეზერვს იყენებენ ამ დარგის აღმავლობის მიღწევისათვის.

თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა თაოსნობის პასუხად ხიდისთაველმა კოლმეურნეებმა იკისრეს თვითეულმა ოჯახმა გაზარდოს თითო ღორი არანაკლებ 20 კილოგრამი წონისა და წლის ბოლოს ჩააბაროს იგი სახელმწიფოს, რაც შეადგენს 1.500 ცენტნერს.

მაღალმთიან სოფელ ზოტის კოლმეურნეობის წევრებმა (თავმჯდომარე რ. ართმელაძე) გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 300 ლიტრი რძე.

ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე განახლების, გორაბერეეთოულის, ერკეთის, ბუკისციხის და სხვა კოლმეურნეობებმა.

### მტკიცე გადაწყვეტილება

**გაგრა.** (საკ. კორ.). გაგრის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვამ. მეურნეობის კოლექტივი დღითიდღე ზრდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ახლა თეთრწყაროელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად უფრო აძლიერებს მუშაობას, რათა მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

ამ მეურნეობამ წელს უნდა აწარმოოს 9.880 ცენტნერი რძე. 20 აგვისტოსათვის მიღებული იყო 6.750 ცენტნერი. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 6.700 ცენტნერი რძე. მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 3.800 კილოგრამი რძე ნაცვლად 3.700 კილოგრამისა. უკვე მიღებულია 2.600 კილოგრამამდე რძე.

მეურნეობის კოლექტივის გადაწყვეტილებაა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში ნაკისრი ვალდებულებანი 20 დეკემბრისათვის გაანაღდოს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 300 ცენტნერი რძე.

### მეტი რძე, ხორცი სამშობლოს

**სიღნაღი.** („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნე მეცხოველეებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თეთრწყაროელთა მიმართვამ მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების შესახებ.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, — ამბობს ულიანოვკის კოლმეურნეობის უფროსი ზოოტექნიკოსი ვ. კვირკაშვილი, — ჩვენი მეცხოველეები ბეჯითად შრომობენ. მეძროხეობის № 1 ბრიგადას (ბრიგადირი ი. არიშინი) ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება თვითეულ ძროხაზე მოეწველა 1.450 ლიტრი რძე. თეთრწყაროელთა მოწოდების პასუხად მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს: წლის ბოლომდე თვითეულ ძროხაზე დამატებით 50 ლიტრ რძეს მიიღებენ.

ბრიგადის თვითეულ ძროხაზე უკვე მიღებულია 1.100 ლიტრი რძე. ამ წარმატებას მიაღწიეს ბაგურ-ბანაკური კვების ფართოდ დანერგვით, ძროხების სანიმუშო მოვლა-პატრონობით.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ბოდბისხეველმა, ნუკრიანელმა, ანაგელმა, ვაჭირელმა და სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეებმა. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა სამშობლოს მისცენ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

## ვალდებულება განაღდებულია

**ნატანებელ** მეჩაიეთა წარმატებებს რომ ეცნობი, გული ხალისით გეგსება. ბევრმა ჩაის მკრეფავმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ახლა ისინი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარილის პასუხად აჩაღებენ ბრძოლას ჩაის უხვი მოსავლისათვის.

ასეთ მეჩაიეთა რიცხვს ეკუთვნის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დარეჯან ტაკიძე.

დილიდან საღამომდე ჩაის პლანტაციაში ტრიალებს გმირი ქალი. დიდი მზრუნველობით უვლის თვითეულ ბუჩქს. ამით აიხსნება, რომ მის ნაკვეთში ჩაის ფოთოლი უხვად არის.

ჩაის უხვი მოსავლის სახელოვანი ოსტატი 0,5 ჰექტარ პლანტაციას უვლის. გმირი ქალი ამინდის ყოველგვარ პირობებში კრეფს. მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

დარეჯან ტაკიძე ვალდებულების შესრულებით როდი დაკმაყოფილდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესასვეედრად ვალდებულება იკისრა კიდევ მოკრიფოს 2 ტონა ჩაის ფოთოლი.

დარეჯან ტაკიძე ენერგიულად შრომობს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

დარეჯანის სიტყვა და საქმე ერთია. იგი სასახელოდ შეასრულებს დადებულ პირობას.

**ნ. ძინძლაძე,**
**მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთის რედაქტორი.**

* * *

**სურათზე:** სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე.

ფოტო დ. იოსებაშვილისა.

## ჩაის კრეფაში დაწინაურდნენ

**25 აგვისტო**

**ბათუმი.** გული ატრუშემ სოფელ ფერეის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 45 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. **გული დუმბაძემ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაი და დღიური ნორმა 150 პროცენტით გაანაღდა.

**ქობულეთი.** ციალა ქათამაძემ სოფელ წყავროკას მაო ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 32 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 15 კილოგრამისა. **ნათელა ქათამაძემ** ამავე კოლმეურნეობაში კრეფის დღიური დავალება ორმაგად შეასრულა. **სურიე ზაქარიაძე** ბეჯითად შრომობს ახალსოფლის ტელმახის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ დღიურ ნორმაზე 25 კილოგრამით მეტი. **რიმა ტრაპაიძემ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 35 კილოგრამისა.

## შეჯიბრებაში ჩაბმულ რაიონებში

**25 აგვისტო**

**მახარაძე.** რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 254 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 23.950 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელზე 1.297 ტონით მეტი.

**ქობულეთი.** კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 140 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან 15.140 ტონა, რაც შარშანდელზე 450 ტონით მეტია.

**ზუგდიდი.** რაიონში მოკრიფეს 161 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 15.638 ტონა ჩაის ნედლეული, ანუ შარშანდელზე 1.467 ტონით მეტი.

**ბაღი.** გალელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 84 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან კი 10.527 ტონა, რაც შარშანდელზე 981 ტონით მეტია.

## საბჭოთა კავშირ-გვინეის კომუნიკე

14-25 აგვისტოს საბჭოთა კავშირში კეთილ ნების ვიზიტით იმყოფებოდა გვინეის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, შემდეგი შემადგენლობით: ეროვნული კრების თავმჯდომარე, გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი და პოლიტიკური მდივანი საიფულაი დიალო (დელეგაციის მეთაური), საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, ეროვნული პოლიტბიუროს წევრი ისმაილ ტურე და მთავრობის გენერალური მდივანი, ეროვნული პოლიტბიუროს წევრი ჟან ფარაგე ტუნკარა.

დელეგაცია მიიღო და მასთან მეგობრული გულითადი საუბარი ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც დასასვენებლად იმყოფება ყირიმში.

მოსკოვში გვინეის მთავრობის დელეგაციასთან შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემონოვმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა გვინეის რესპუბლიკაში პ. ი. გერასიმოვმა.

დელეგაციამ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და დაათვალიერა ქალაქი ბაკო, კიევი, ლენინგრადი და ყირიმის სამხრეთი სანაპირო.

გვინეის მთავრობის დელეგაციას საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მოეწყო ოფიციალური ბანკეტები, ორგანიზებულ იქნა ეროვნული ანსამბლის კონცერტი.

გვინეის მთავრობის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-გვინეის ურთიერთობის სხვადასხვა საკითხზე, ორმხრივ საერთაშორისო ინტერესის საკითხებზე, ფართო ურთიერთგაგების სულისკვეთებით, ჩატარდა ნამდვილად მეგობრული საუბარი.

საუბრებში გვინეის მთავრობის დელეგაციამ განაცხადა, რომ სსრ კავშირ-გვინეის ურთიერთობა, ეკონომიური თანამშრომლობა, ტექნიკური დახმარება ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ინდუსტრიალიზაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიული ნედლეულით, ენერგიით, ტრანსპორტით, ინფორმაციით, ტექნიკური ინფორმაციით, ტექნიკური ინფორმაციის ცვლა-ცვლა, ტექნიკური ინფორმაციის ცვლა-ცვლა, ტექნიკური ინფორმაციის ცვლა-ცვლა

# კომუნისტები—შვიდწლედის ფონდს!

## პირველი შედეგები

**პირველი საამქროს სამას ორმოცდაათზე მეტი მუშა ჩაება მასალების ხარჯვის ეკონომიისათვის ბრძოლაში**

**კომუნისტ ნ. შუტოვის ბრიგადის წევრები თვეში ორ დღეს მუშაობენ დაზოგილი დამხმარე მასალებით**

**კომბინატის კოლექტივმა ეძვს თვეში შვიდწლედის ფონდს ორას ოთხმოცი ათასი მანეთი შემატა**

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის პატრიოტულ მოწოდებას შვიდწლედის ფონდის შექმნისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ საქმიანად გამოეხმაურნენ სოხუმის ტყავისა და ფეხსაცმლის კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

№ 1 საამქროს (უფროსი ვ. ნადირაშვილი, პარტბიუროს მდივანი ი. ჯოლია) სამას ორმოცდაათზე მეტი მუშა ჩაება მასალების ხარჯვის ეკონომიისათვის ბრძოლაში. ფეხსაცმლის ზედაპირის გადამკვიმავი ბრიგადის წევრებმა, რომლებსაც მოწინავე მუშა კომუნისტი ნ. შუტოვი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრეს თვეში ორ დღეს დაზოგილ დამხმარე მასალებზე ემუშავნათ. ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულება საქმით გაანღდა, მისში ორ დღეს და ივნისში თითქმის ორდღენახევარს დაზოგილი მასალებით იმუშავა. ამ ბრიგადაში პირველად დაინერგა, შემდეგში კი სხვაგანაც გავრცელდა კომუნისტ გ. რუხაძის რაციონალიზატორული წინადადება, რაც შემდეგში გამოიხატება:

თუ წლების მანძილზე ქალის ფეხსაცმლის ქუსლს წინასწარ ორი-სამი ლურსმნით ამაგრებდნენ (რაც ბევრი ლითონის ხარჯვას მოითხოვდა), ამ საქმეზე პრაქტიკულად მომუშავე კომუნისტმა რუხაძემ შეიმუშავა მეთოდი, რომლის გამოყენებით საკმარისია ერთი ლურსმანი ფეხსაცმელზე ქუსლის წინასწარ მისამაგრებლად. მუშაობის ასეთი, ტექნოლოგიურად ყოველმხრივ გამართლებული მეთოდის დანერგვა მარტო ამ ერთ საამქროში, ერთ ნაკადზე წლიურად ნახევარ ტონაზე მეტი ლურსმნის ეკონომიას იძლევა, გარდა ამისა, სანახევროდ ამცირებს საწარმოო პროცესის ოპერაციაზე გათვალისწინებულ დროს და გამოშვებულ ყოველ ას წყვილ ქალის ფეხსაცმელზე 17 მანეთსა და 50 კაპიკს მატებს შვიდწლედის ფონდს.

უკანასკნელ ხანებში საამქროში მკვეთრად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, რაც მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული. ახლა ეს საამქრო ყველაზე მოწინავეა კომბინატში და გარდამავალი წითელი დროშაც მის კოლექტივს აქვს მოკუთვნებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ № 1 საამქრომ მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე შვიდწლედის ფონდში 150 ათასი მანეთი შეიტანა.

შვიდწლედის ფონდში თავიანთი წვლილი შეაქვთ № 2 ფეხსაცმლის ხაძირისა და ზედაპირის საგამომჭრელო საამქროების კოლექტივებსაც. კომუნისტები ა. თოლორდავა, ბ. ჯალალონია, მ. შაუთიძე, ე. ბახტეროვა, ნ. აქსენოვა, გ. უნიშკოვა და სხვ. ავანგარდში არიან და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ფართო მასებს.

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავისა და ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივს ნაკისრი აქვს ვალდებულება წელს შვიდწლედის ფონდში შეიტანოს ნახევარი მილიონი მანეთი, ხოლო 1965 წლის ბოლომდე — 5 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლის 6 თვეში უკვე შეიტანა ორას ოთხმოცი ათასი მანეთი.

პარტიის XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი პარტიული ორგანიზაცია წარმატებით იბრძვის წარმოების ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 108,6 პროცენტით შეასრულა, მეორე კვარტალისა — 112,2 და ივნისის დავალება — 124,6 პროცენტით.

**ვ. ჩიქოვანი,**
სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავისა და ფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

# როგორ ხვდებით სასწავლო წელს?

**სურათზე:** სკოლა-ინტერნატის საერთო ხედი.

## ახალ კერაზე

**ქუთაისში,** სოხუმის ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც ახლა ეს ლამაზი ოთხსართულიანი შენობაა აღმართული, ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ ცარიელი ადგილი იყო. ქალაქის ცენტრალურ უბანში თვალს ეჩოთირებოდა ეს სიცარიელე — ღორღითა და გუბეებით დაფარული ოღროჩოღრო მინდორი. მაგრამ აი გამოჩნდნენ მშენებლები და ერთბაშად შეიცვალა ეს უსიამოვნო პეიზაჟი: ჰორიზონტზე აღიმართნენ ვეება ხორთუმიანი ამწეები, ნელნელა ცისკენ ამაღლდნენ ხარაჩოები, ხოლო მალე თეთრი ნაგებობაც აქათქათდა მზეზე. წელში გასწორდა და გაიმართა სოხუმის ქუჩა, მთელმა უბანმა იცვალა იერი.

ეს მშვენიერი შენობა ქუთაისის სკოლა-ინტერნატისათვის არის განკუთვნილი. ნაგებობა ისეა დაპროექტებული, რომ აღსაზრდელებს სწავლისა და ნორმალური ცხოვრების ყველა პირობა ჰქონდეთ. როგორც საცხოვრებელი, ისე საკლასო ოთახები ნათელი და მზიანია. ამავე შენობაშია კლუბი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ინტერნატს ექნება დამხმარე კორპუსები, სადაც მოთავსდება სასადილო, აბანო, სამრეცხაო, სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები და სხვ.

ინტერნატს აქვს დიდი ეზო, სადაც დაირგვება სხვადასხვა ჯიშის დეკორაციული და ნაყოფის მომცემი ხეები, გაშენდება ყვავილნარი, მოეწყობა სპორტული მოედანი.

ქუთაისის სკოლა-ინტერნატი გათვალისწინებულია 300 ბავშვისათვის. წელს კი 180 აღსაზრდელს მიიღებენ. ინტერნატი უკვე ყოველმხრივ მზად არის აღსაზრდელთა მიღებისათვის. საკლასო ოთახები, საცხოვრებელი ბინები უზრუნველყოფილია საჭირო ავეჯითა და ინვენტარით, სრულ წესრიგშია ელექტრო და რადიოგაყვანილობა, კანალიზაცია, სკოლა-ინტერნატი დაკომპლექტებულია აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიციური კადრებით.

1 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება სკოლა-ინტერნატი, მოვლენ პირველი აღსაზრდელები, რომლებსაც არ მოაკლდებათ მზრუნველი ხელი.

ტექსტი და ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## პირველი ზარის წინ

**თბილისში,** რუსთაველის პროსპექტზე, სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლაა. სკოლის წინ გაშენებულ ლამაზ სკვერს დაუმშვენებია მისი ფასადი, ხოლო უკვდავი ქართველი მამულიშვილების ლანდა და აკაკის ძეგლს ნათელი მოუფენია მისთვის.

...აპყვები კიბის საფეხურს, დაივლი დერეფნებს, შეიხედავ კაბინეტ-ლაბორატორიებში, საკლასო ოთახებში, ყველგან წესრიგი და სისუფთავეა. შავად ლაპლაპებენ დაფები და მერხები, პრიალი გაკვეს იატაკს, ფანჯრის რაფებზე მცენარეები ჰყვავიან. განსაკუთრებით გეცემათ თვალში ხელსაწყოებით სავსე კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები. წესრიგშია სკოლის რადიოგაყვანილობა და ელექტროქსელი.

— როგორც ხედავთ, ჩვენი სკოლა მზად არის ახალი სასწავლო წლისათვის, თუგინდ ხვალვე დაიწყოს იგი, — ღიმილით ამბობს სკოლის დირექტორი ნ. კოკვაძე.

მართლაც ასეა.

წელს სკოლას დროულად გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, რაზეც 300.000 მანეთი დახარჯა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კაბინეტ-ლაბორატორიების კეთილმოწყობას, შრომის გაკვეთილებისათვის ხელსაწყო-იარაღებისა და მანქანა-დანადგარებს შეძენას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, კეოგრაფიის, მანქანათმცოდნეობის საკმაოდ მდიდარი კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს, მაინც დირექციამ 8.000 მანეთის ახალი ხელსაწყოები შეიძინა. ახალი დანადგარებით შეივსო აგრეთვე საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები. სასკოლო ბიბლიოთეკა 3.000 მანეთის წიგნებით გამდიდრდა, წიგნსაცავში ახლა 13.000 წიგნია.

სწავლასთან ნაყოფიერი შრომის შეერთების მიზნით სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა. შრომის გაკვეთილი მოსწავლეთა საყვარელ გაკვეთილად იქცა. განსაკუთრებით შედგენილი აღმოჩნდა მოსწავლეთა თვითმმართველობა გადასვლა, რამაც სკოლას 5.800 მანეთი ეკონომია მისცა. წელს სკოლაში დამატებით კიდევ გაიხსნება ხელგარჯილობის, ხაზვის კაბინეტი და ფოტოლაბორატორია.

ამ სკოლის მანქანათმცოდნეობის კაბინეტის საქმიანობა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. აქ დამზადებულ მრავალ მოდელსა და დეტალს არაერთხელ დაუმსახურებია ნორჩ ტექნიკოსთა საკავშირო დიპლომი, ჯილდო. და აი წელს მანქანათმცოდნეობის კაბინეტის ბაზაზე სკოლაში შეიქმნება საავტომობილო სახელოსნო. მრავალი საწარმოს მანქანებს შეაკეთებენ მოსწავლეები, ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მართალია, სკოლაში ჯერ პირველი ზარი არ დარეკილა, მაგრამ მისი დერეფნები უკვე აუსმაურებიათ მოსწავლეებს. მოსულან ისინი, ვისაც სკოლასთან არსებულ მუსიკალურ სკოლაში სურს ისწავლოს. ეს სკოლა უკვე ოთხი წელია არსებობს. განცხადებით მოსულან ისინიც, ვისაც უცხო ენის რომელიმე ჯგუფში სურს მეცადინეობა. დედებს მოუყვანიათ პატარები, რომლებიც პირველ სექტემბერს პირველად დასხდებიან მერხზე. დარბიან დერეფნებში და ცნობისმოყვარედ ათვალიერებენ საკლასო ოთახებს. საყვარელი სკოლა ადრე მოუნახულებიათ უფროსკლასელებსაც. ისინი უმთავრესად ახალ კაბინეტ-ლაბორატორიებს ათვალიერებენ.

თაობები იცვლებიან თბილისის პირველ სკოლაში. მაგრამ თაობათა ცვლაში როდი ბერდება სკოლის შენობა: გეგონებათ, ხარაჩოები სულ ახლახან ჩამოუხსნიათო.

თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლა მოუთმენლად ელის პირველ ზარს

**მ. ინასარიძე.**

## ინვენტარის მოლოდინში

ფოთის ზოგიერთი საწარმო და დაწესებულება (წყალსადენის სამმართველო, მანქანა-ექსკავატორთა სადგური, ელექტრო მეურნეობა, მიწისმოზომი მანქანების ქარხანა და სხვ.) ნელი ტემპით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მეტი მუშაობა მართებს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს, რომელშაც 200 ცალი მერხი უნდა დაუმზადოს სკოლებს. ეს დავალება ჯერჯერობით სანახევროდ არის შესრულებული, ხოლო რაც მთავარია, ხარისხის მხრივ დიდად უჩივიან. აქ რატომღაც მერხის საჯდომსა და მისაყრდენ ნაწილს ხრახნების ნაცვლად ლურსმნით ამაგრებენ, რის გამო ხმარებისთანავე ეს ნაწილები ერთმანეთს შორდება და იშლება.

ჩამორჩენაა სასწავლო-სამეურნეო ინვენტარით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში. ამ დანიშნულებისათვის წელს გამოყოფილია 273.800 მანეთი, რის ათვისებაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ფოთისათვის ფონდი მისცა ქ. ქუთაისის ბაზას, სადაც საზეინკლო დაზგისა და მასწავლებლის მაგიდის მეტი არაფერი გააჩნიათ, რის გამო სკოლები სხვა აუცილებელი ინვენტარის მოლოდინში თანხებს ხელუხლებლად ინახავენ. ასევე ვერ აკმაყოფილებს სკოლების მოთხოვნილებას თვალსაჩინოების ბათუმის ბაზაც. საგულისხმოა ასეთი ფაქტიც: იმის გამო, რომ განათლების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს სკოლებს საღუმელი თუჯის კარების კომპლექტით, ხოლო ადგილზე სავაჭრო ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება გადარიცხვით გასცენ სკოლებზე, ეს უკანასკნელნი იძულებული ხდებიან დაკვეთები მისცენ მსხვილ საწარმოებს, სადაც 37-მანეთიანი კარების დამზადება 200-300 მანეთი უჯდებათ. ქალაქში ჯერ კიდევ მიღებული არ არის სახელმძღვანელოები პოლიტექნიკურ სწავლებაზე მთელ რიგ სკოლებში (1-ლი, მე-5 საშუალო, მე-2 შვიდწლიანი და სხვ.) სახელოსნოები არ არის მოწყობილი.

გაცილებით მეტ ყურადღებას საჭიროებს მანქანათმცოდნეობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების სპეციალისტთა კადრებით სკოლების დროულად დაკომპლექტება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავლენ მე-2, მე-3, მე-4, მე-5, ჭალადიდისა და პატარა ფოთის საშუალო სკოლების მე-9 კლასები. აქედანვე საჭიროა ზრუნვა მოსწავლეთა სპეციტანსაცმლით მომარაგებისათვის. საკმაო მუშაობა არ წარმოებს განთვლილ მოსწავლეთა სწავლაში ჩაბმისათვის.

სწავლის დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი, გასაკეთებელი კი ბევრია. სწორედ ამ საკითხების სწრაფად მოგვარებაზე იმსჯელა ამ დღეებში გამართულმა საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ. საჭიროა ქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველა ზომა მიიღონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში გამოსწორებისა და სკოლებში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

**კ. კომაახიძე.**

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა პარტიის XXI ყრილობის მიერ მიღებული კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესის მიღწევისათვის, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ახალი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის.

## *ეკონომიურ თემაზე* სპეციალიზაციისა და კოოპერირების უპირატესობანი

საბჭოთა ეკონომიკის დიდ წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ და მათმა განმტკიცებამ. საუწყებო დაბრკოლებების ლიკვიდაციამ, ხელმძღვანელობის წარმოებასთან და მშენებლობასთან მიახლოებამ, მეურნეობის მართვაში ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ, მშრომელთა ინიციატივის ზრდამ დიდად შეუწყო ხელი არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებას, სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საქმეს, სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომ განვითარებას.

სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება ეკონომიურად მიზანშეწონილ ფორმას წარმოადგენს. მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და მისი გეგმიანობის პირობებში სპეციალიზაციასა და კოოპერირებას აქვს აურაცხელი შესაძლებლობანი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ხუთწლედების მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელ მრეწველობაში გამოიყო ათობით ახალი დარგი: საავტომობილო, საავიაციო, სატრაქტორო, საფეიქრო და ქიმიური მანქანათმშენებლობა და სხვა მრავალი. ქიმიურ მრეწველობაში გამოიყო დამოუკიდებელ დარგებად ხელოვნური ბოჭკოს, სინთეზური კაუჩუკის, პლასტმასებისა და სხვათა წარმოება. უკანასკნელ ხანებში ელექტროტექნიკურ მრეწველობას გამოეყო რადიოტექნიკური მრეწველობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შრომის დანაწილების გაღრმავებასა და სპეციალიზაციის განვითარებას მივყავართ ცალკეული დარგებისა და საწარმოთა იზოლაციისაკენ ან ავტონომიისაკენ, პირიქით, მას მივყავართ მათ შორის კავშირის ზრდასთან და კოოპერირებასთან.

სპეციალიზებულ დარგებსა და საწარმოთა შორის აუცილებელია საწარმოო კავშირი ანუ კოოპერირება. ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალიზებულ საწარმოთა დარგებს შორის არსებობს გეგმაზომიერი, მუდმივი საწარმოო ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა. კოოპერირებას საფუძვლად უდევს შრომის ისეთი დანაწილება, როცა პროდუქციის შექმნაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე საწარმო ერთად. კოოპერირების დროს ერთი საწარმო შემკვეთია, დანარჩენი კი მისი დაკვეთის შემსრულებლები არიან.

გავრცელებულია სადეტალო და ტექნოლოგიური კოოპერირების სახეები. სადეტალო კოოპერირება — ეს არის საწარმოო კავშირი, რომლის დროს მზა პროდუქციის გამომშვები წარმოება უკავშირდება ქარხანას, რომელიც სპეციალიზებულია ცალკეული დეტალებისა და კვანძების გამოშვებაში. მაგალითად, სატრაქტორო ქარხნები იღებენ დეტალებს: ელექტროაპარატურას, რადიატორებსა და სხვას სპეციალიზებული ქარხნებიდან.

ტექნოლოგიური კოოპერირება — ეს არის საწარმოო კავშირი, რომლის დროსაც ხდება კოოპერირება ისეთი წარმოებებისა, რომლებიც დაახლოებულ, მონათესავე პროდუქციას უშვებენ. ასეთი სახის კოოპერირების ტიპიური მაგალითია საწარმოო კავშირი ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და მძიმე მანქანათმშენებლობის მრეწველობას შორის. უკანასკნელი უგზავნის პირველს სხმულებს ტურბინებისა და გენერატორების დასამზადებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი საბჭო სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელების პროცესში გამოდის მხოლოდ საკუთარი ეკონომიური რაიონის საჭიროებიდან და არ ითვალისწინებს სხვა ეკონომიური რაიონების ინტერესებს, რომ მშენებლობაში ჯერ კიდევ არ ჰპოვა სათანადო გავრცელება სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალიზაციამ სამშენებლო სამუშაოების სახეების მიხედვით და სხვ.

ივნისის პლენუმმა მოითხოვა, რომ 1959 წელს სამინისტროებისა და ადმინისტრაციულ-ეკონომიური რაიონების მიხედვით შემუშავდეს მრეწველობისა და მშენებლობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი სპეციალიზაციისა და კოოპერირების დაჩქარებისათვის.

უახლოეს წლებში განსაზღვრულ იქნება მრეწველობის წამყვანი დარგების სპეციალიზებული საწარმოებისა და სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების პროფილი. გატარდება ღონისძიებანი სპეციალიზებული საწარმოების სიმძლავრეთა გადიდებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ გაფართოვდეს სპეციალიზაცია ცალკეული დეტალების და კვანძების დამზადებისა საწარმოების მუშაობაში ეკონომიური შედეგიანობის. ასამაღლებლად.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შემდეგ დიდი მუშაობა იქნა გაწეული სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარებისათვის. მაგალითად, საქართველოში მრავალ ქარხანას ჰქონდა საკუთარი მცირე სიმძლავრის სამსხმელო საამქრო, რომლის წარმადობა არ იყო მაღალი. ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანას ეძლეოდა დაკვეთები სხმულებზე თბილისიდან, როცა იქვე, ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის სამსხმელო საამქრო თავს ვერ ართმევდა საკუთარი ქარხნის დაკვეთებს. სავსებით სწორად მოიქცნენ, როცა ლიკვიდირებულ იქნა გემთსამშენებლო ქარხნის სამსხმელო საამქრო და სხმულებით ქარხნის უზრუნველყოფა დაევალა მეზობელ მანქანათსამშენებლო ქარხანას, რომელიც წინათ არ იყო სათანადოდ დატვირთული. ამასთან ერთად, გათვალისწინებულ იქნა რა ჩაის რაიონების სიახლოვე ბათუმთან, მანქანათსამშენებლო ქარხანას დაევალა მანქანების გამოშვება ჩაის მრეწველობისათვის და ამ მოვალეობისაგან განთავისუფლდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა, რომელიც სპეციალიზებულია მეღვინეობის მოწყობილობის გამოსაშვებად. მანქანათსამშენებლო ქარხანა სხმულებით აგრეთვე ამარაგებს ბათუმში ახლახან აშენებულ სამ ქარხანას, რომლებშიც მუშაობენ ელექტროტექნიკური მოწყობილობის გამოშვებაზე. ამ ღონისძიებათა გატარებამ ხელი შეუწყო საწარმოო ფართობების რაციონალურად გამოყენებას.

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანაში სამაგისტრალო ელმავლების ათვისება და წარმოება მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა მოხდა ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, პლასტმასების ქარხნისა და სხვა საწარმოების კოოპერირება.

მაგალითად, ლუგანსკის ქარხანა ჩვენს ელმავალსამშენებლო ქარხანას უგზავნის სპეციალურ ჩარჩოებს, ხოლო ნოვოჩერკასკის ქარხანა ჩვენი ქარხნიდან იღებს დამხმარე მექანიზმებს, ზოგიერთი სახის ელექტროაპარატურას და სხვ.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დიდი რაოდენობით მზადდება იარაღები და მოწყობილობა რესპუბლიკის სხვა საწარმოებისათვის. მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან იღებს ისეთ მოწყობილობას, რომლის საკუთარი დამზადება რენტაბელური არ არის. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ერევნის, ბაქოს, ოდესის ავტოსარემონტო ქარხნებს უგზავნის ავტომანქანების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილებს, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხანა თავის მხრივ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის, მიტიშჩისა და გორკის საავტომობილო ქარხნებიდან იღებს ბევრ ნაწილებს.

წინათ თბილისის 26 კომისრის ქარხნის სხვა დავალებათა შორის იყო მანქანების წარმოება საფეიქრო მრეწველობისათვის. შემდეგ აქ უშვებდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ამჟამად კი ქარხანას აქვს მტკიცე პროფილი. იგი სპეციალიზებულია მეღვინეობის ახალი მოწყობილობის, წნეხების, ტუმბოებისა და სხვათა გამოშვებისათვის.

ქუთაისის სამთო-მანქანათმშენებელ ქარხანაში სპეციალიზაცია დღემდე მთლიანად არ მომხდარა. ერთ ხანობას აქ ამზადებდნენ ექსკავატორებს, შემდეგ საშახტო ელმავლებს და სხვადასხვა პროდუქციას სამთო მრეწველობისათვის. 1958 წელს ქარხანამ აითვისა ელექტრომოწყობილობის გამოშვება.

ყურადღების ღირსია ჩაის ფაბრიკების განტვირთვა ნახევარფაბრიკატების დახარისხების ოპერაციებისაგან და მათი გადატანა სპეციალიზებულ საწარმოში, რაც საკმაოდ აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, შექმნის პირობებს ჩაის ფაბრიკებში საწარმოო ფართობების განთავისუფლებისათვის, რათა იქ დაიდგას დამატებითი მოწყობილობა, ეს კი დიდად გაზრდის ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეს.

მოყვანილი ფაქტები მხოლოდ ერთეულია. ჩვენს რესპუბლიკაში არის აურაცხელი რეზერვები, რომელთა გამოვლინება და გამოყენება შეიძლება, თუ ფართოდ გამოვიყენებთ მრეწველობაში ისეთ ეფექტიან მეთოდს, როგორიც სპეციალიზაცია და კოოპერირებაა.

**გ. ხომერიკი.**

## წლიური გეგმა გაანაღდეს

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის თევზის კომბინატის კოლექტივი თავიდანვე ენერგიულად შეუდგა შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა სახახელოდ შესრულებას. ბრიგადებსა და ხელინერებს ეკიპაჟებს შორის ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, გძლიერდა მეთევზეთა ტექნიკური აღჭურვილობა და გაუმჯობესდა თევზის გადამუშავების ტექნოლოგია.

ამის შედეგად ბათუმელმა მეთევზეებმა ვადაზე 4 თვითა და ათი დღით ადრე — 20 აგვისტოსათვის გაანაღდეს მიმდინარე წლის დავალება, დაიჭირეს და გადაამუშავეს 19 ათასამდე ცენტნერი თევზი — 681 ცენტნერით მეტი, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

ამავე პერიოდში კომბინატმა დაამზადა და მოსკოვში, პეტროზავოდსკში, კიშინიოვში, კურსკში, თბილისში, ქუთაისსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში გაგზავნა 18 ათასამდე ცენტნერი დამარილებული, შებოლილი და მშრალად გაყინული თევზი.

კომბინატის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს თევზნედლეულის გადამმუშავებლებმა რ. ბერიძემ, ვ. ბარდიშევამ, რ. ვასილკომ, მაცივრის მემანქანეებმა ე. ალიევმა, ო. ჯანელიძემ და სხვ., რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ დავალებებს და მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

# რაზომ ურიგდებიან ჩამორჩენას თამბაქოს წარმოებაში?

**გეგმის შესრულება საფრთხეშია**

თამბაქო ძვირფასი ტექნიკური კულტურაა. ქართული თამბაქო თავისი არომატით და ხარისხით შორს არის ცნობილი. ამიტომ მისი წარმოების გადიდება ნიშანდეულვან ამოცანად არის დასახული. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება აფხაზეთს, აჭარის, მარნეულის, ლაგოდეხისა და ბოლნისის რაიონების მეთამბაქეებს.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გადიდდა თამბაქოს წარმოება და მისი ხარისხი. მოწინავე მეთამბაქეოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 1965 წლისათვის დასახული დავალებები შეიძლება წარმატებით შესრულდეს. აღნიშნული პერიოდისათვის საქართველომ უნდა აწარმოოს სულ მცირე 20.000 ტონა თამბაქო.

ამიტომ იყო რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის იანვრის პლენუმმა თამბაქოს მოსავლისა და მისი ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აგრეთვე თამბაქოს მომყვანი რაიონების პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა მიიღონ ღონისძიებანი თამბაქოს დარგვის, პლანტაციების მწკრივთა შორის დამუშავებისა და თამბაქოს ფოთლის ანმესვის მექანიზაციისათვის“.**

მიუხედავად იმისა, რომ წელს თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისათვის სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა, მაინც არ არის გაკეთებული საჭირო დასკვნები იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მთლიანად განხორციელებისათვის.

კარგია, როცა არის წარმატებები. მაგრამ შეუწყნარებელია ამ წარმატებებით თვითდამშვიდება. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები მოწმობენ, რომ მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მეთამბაქეებმა დადებულ პირობას უღალატეს, ხელიდან უშვებენ თამბაქოს უხვი მოსავლის აღებისა და დაბინავების გადამწყვეტ პერიოდს. ეს კი საფრთხეში აყენებს გეგმის შესრულებას.

ამ რაიონებში უხვად არის შემოსული თამბაქოს მოსავალი. მაგრამ მისი აღება დიდად ჩამორჩა მცენარეზე ფოთლების ტექნიკურად მომწიფებას. ახლა პლანტაციებში მოსავალი გადამწიფებულია. მარნეულის რაიონის სოფელ საბირქენდის ლენინის სახელობის, ალგეთის ორჯონიკიძის სახელობის, ბოლნისის რაიონის სოფელ კოჩიულის 26 კომისრის სახელობის, იმირ ასანის კალინინის სახელობის და ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში დროულად ვერ უზრუნველყვეს მოსავლის აღება, ფოთოლი გადამწიფდა, მოსავალი დაღუპვის კარზეა. მსგავსი მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის გორკის სახელობის, სოფელ თელას ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში, გურგენიანის კოლმეურნეობა „განთიადში“ და სხვ.

ბევრგან დაარღვიეს თამბაქოს მოყვანის აგროტექნიკური წესები. მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მეთამბაქეოებს სულ არ ჩაუტარებიათ თამბაქოს ყვავილების შეცლა და ფურჩქვნა. მცენარეებზე დატოვეს ყველა ნამხრევი, რაც იწვევს ნედლეულის დანაკარგს და ხარისხის გაუარესებას.

ბედის ანაბრად არის მიტოვებული საშრობი ფარდულების მშენებლობა. მარნეულის რაიონში წელს უნდა აშენდეს 325 თვალი მზით საშრობი ფარდული, ცეცხლსაშრობი კი 10, ხოლო თამბაქოს დამხარისხებელი სადგომი — 24. მაგრამ დღემდე დამთავრებულია მხოლოდ 27 მზით საშრობის მშენებლობა. რაიონის 35 კოლმეურნეობიდან ფარდულების მშენებლობას არ შესდგომია 22 კოლმეურნეობა. უკეთესი მდგომარეობა როდია ლაგოდეხის რაიონში. გეგმით გათვალისწინებული 230 მზით საშრობი ფარდულიდან აშენდა 127. სავალალო ისიც არის, რომ არსებული ძველი ფარდულების ნაწილში სახურავიდან წვიმა ჩამოდის. გასაშრობად მინდვრად გატანილ თამბაქოს ღამით, წვიმის დროსაც გარეთ ტოვებენ. საეჭვოა, რომ ასეთ პირობებში ჩვენმა მეთამბაქეეებმა უზრუნველყონ გეგმის შესრულება და ხარისხის დაცვა.

როგორია მეთამბაქოობის რაიონების დავალებები? მარნეულის რაიონმა წელს ქვეყანას უნდა მისცეს 3.600 ტონა ხარისხოვანი თამბაქო, ლაგოდეხის რაიონმა — 3.400, ბოლნისის რაიონმა — 500, აფხაზეთმა — 8.200, აჭარამ კი 1.320 ტონა. მაგრამ ნაკისრი ვალდებულება მათ ხომ მეტი აქვთ. საინტერესოა, როგორ ფიქრობენ ვალდებულების შესრულებას? ფაქტები ამჯერად მათს სასარგებლოდ არ მეტყველებენ.

ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში უსულგულოდ ეკიდებიან თამბაქოს აღება-გაშრობას. ბევრგან ანმესილი თამბაქო ღობეებზეა ჩამოკიდებული, და ამ აგროტექნიკურ დარღვევას ყურადღება არ ექცევა. არც დაცვისადმი დაუწესებიათ მტაცეც კონტროლი. ამას ისიც ემატება, რომ მარნეულის რაიონში არ შეუზიდავთ ფარდულების სახურავი, ლაგოდეხის რაიონში შეზიდეს, მაგრამ კოლმეურნეობებს სანახევროდაც არა აქვთ გატანილი. აკლიათ აგრეთვე ხე-ტყის მასალა. ამ საქმეში ვერც ცეკავშირი გაიმართლებს თავს.

არის ფაქტები, რომ მეთამბაქოეებს ხელს არ უწყობენ მუშაობაში. ეს იმით გამოიხატება, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ ახორციელებენ მეთამბაქოე კოლმეურნეთათვის ტაწესებულ წამახალისებელ ღონისძიებებს (როგორიც არის შრომის დამატებითი ანაზღაურება და სხვ.). ესეც გავლენას ახდენს თამბაქოს წარმოების გადიდებაზე.

აქედან დასკვნა: თამბაქოს წარმოების საქმეში მეთამბაქოეობის რაიონებში შექმნილი მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია, თუ ახლავე მიღებულ არ იქნა გადამჭრელი ზომები, გეგმების შესრულება აშკარა საფრთხეში აღმოჩნდება. მეთამბაქოეობის რაიონების პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა ბოლო უნდა მოუღონ თამბაქოს წარმოების საქმეში გამეფებულ თვითმყოფელობას და ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ დასახული გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების აუცილებლად შესრულება.

**ყოველ** დღეს ახალი წარმატება მოაქვს თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივისათვის, რომელიც თავდადებით შრომობს შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესასრულებლად. საწარმოს კოლექტივმა 6 აგვისტოსათვის გაანაღდა პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა და ოქტომბრის ანგარიშში მუშაობს. დღეისათვის კერამიკოსებმა 2 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კერამიკული ნაკეთობა გამოუშვეს.

დანადგარების, აგრეგატების რაციონალური გამოყენებით, ტექნიკური პროგრესის ამოცანების პრაქტიკული განხორციელებით კერამიკოსებმა 8,4 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, 9,2 პროცენტით შეამცირეს მისი თვითღირებულება და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 581 ათასი მანეთი — ორჯერ მეტი, ვიდრე მთელი 1959 წლისათვის ჰქონდათ გათვალისწინებული.

მეორე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პირველი პრემია და გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

**სურათზე:** მხატვარი კერამიკოსი გურამ დოლიძე მუშაობს ქართული სტილის დეკორაციული ლარნაკის მოხატვაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ახალი მაღაზიები

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). სულ უფრო იზრდება სოფლის მშრომელთა მოთხოვნილება სამრეწველო და სასურსათო საქონელზე, მაღალხარისხოვან ავეჯზე, საკერავ მანქანებზე, პიანინოებზე, მაცივრებზე, ხალიჩებზე და სხვ. ზუგდიდის რაიკოოპკავშირმა მიმდინარე წლის 6 თვეში გასული წლის 6 თვესთან შედარებით მოსახლეობას 6 მილიონ 600 ათასი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი მიჰყიდა.

დიდი ყურადღება მიექცა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. წელს გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიები რუხში, ორულუში, ინგირში, ოქტომბერში, ოდიშში.

შვიდწლედის პირველ წელს რაიკოოპკავშირი გახსნის ტანსაცმლის ინდივიდუალურ კერვა-შეკეთების 14 სახელოსნოს, ფეხსაცმლის შემკეთებელ 18 სახელოსნოს და სხვ.

## მკითხველთა კონფერენცია მთაში

**ამ დღეებში** ორჯონიკიძის რაიონის მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაკები ეხტმრნენ „ლომის მთის“ საზაფხულო საძოვარზე მყოფ ვახანისა და სერბაისის კოლმეურნეობათა ფერმების მწყემსებს.

მეცხოველეებთან მათ გამართეს მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ვაჟა-ფშაველა — ბუნების დიდი მგოსანი“. კონფერენციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა მწყემსმა ავთანდილ ინასარიძემ. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა მოძრავი ბიბლიოთეკის გამგემ თ. ვარდოსანიძემ. ვაჟას შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე ისაუბრეს ფერმის გამგემ ლაზარე არეკვაძემ, მწველავებმა ნორა მხატარაშვილმა, ლილი არეკვაძემ, მწყემსებმა გიორგი ღონღლაძემ, ელენე ლაცაბიძემ, ომარ კიკნაძემ, გურამ კოპაძემ, გიორგი ცუცქირიძემ, შოთა არეკვაძემ, ვასილ ჯანდაბეგოვმა, ვახანის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ე. შარიქაძემ.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა კონცერტი მწყემსების მონაწილეობით.

**ძ. სახვაძე.**

## „შეწყვეტილი სიმღერა“

**დიდი** სამამულო ომის პერიოდში, როცა მშვიდობისმოყვარე ხალხები მტკიცედ იბრძოდნენ ვერაგი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ, ერთად დალვრილმა სისხლმა ისინი უფრო დაამეგობრა, შეაკავშირა, ახლობელი გახადა. ამ მეგობრობას საფუძველი ეყრებოდა სანგრებში, საველე ჰოსპიტლებსა და ღრმა ზურგში, პარტიზანულ შენაერთებსა და რეგულარულ ნაწილებში.

ქართველი ხალხისა და სლოვაკი ხალხის საუკეთესო შვილებიც გაეცნენ ერთმანეთს დიდი სამამულო ომის დროს, მათაც შეიტანეს საერთო წვლილი ფაშისტი ურჩხულის განადგურების საქმეში, ისინიც დამეგობრდნენ.

სლოვაკი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს ცნობილი ქართველი მწერლის კ. ლორთქიფანიძის, სლოვაკი კინოსცენარისტის ა. მარენჩინის და ქართველი კინორეჟისორის ნ. სანიშვილის ერთობლივი სცენარი „შეწყვეტილი სიმღერა“.

ავტორებმა სცენარზე მუშაობა შარშან დაიწყეს. მაშინ მას დროებით „სიყვარული იმარჯვებს“ უწოდეს. კინოსცენარს ერთობლივი ძალებით იღებენ ბრატისლავისა და თბილისის კინოსტუდიები.

როლებში მონაწილეობენ სლოვაკი და ქართველი მსახიობები ი. პანტიკი, კ. მახათა, დ. ბლაუკოვიჩი, ვ. მლინსკი, ვ. პოლონი, ლ. ოზაბალი, ვ. ანჯაფარიძე, ლ. ელიავა, ალ. ომიაძე, ო. კობერიძე, ზ. ლაფერაძე და სხვ.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. სანიშვილი, მხატვრები რ. კოვაჩი, ე. მაკავარიანი და ე. ახვლედიანი, მუსიკა დაწერეს კომპოზიტორებმა ტ. ანდროშვილმა და რ. ლაღიძემ.

კინოფილმის გადაღება დაიწყო ივლისის პირველ რიცხვებში ვაზიანში, დარიალისა და დარღავის ხეობებში. ამჟამად გადაღება მიმდინარეობს მცხეთაში ჯვარის მონასტრის მიდამოებში. მალე გადამღები ჯგუფი გაემგზავრება სოხუმში, შემდეგ კი ფილმის გადაღება დამთავრდება ჩეხოსლოვაკიაში.

## ოსური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი თბილისში

**20 აგვისტოდან** თბილისში იმყოფება და ფილარმონიის დარბაზში კონცერტებს მართავს საერთაშორისო და საკავშირო კონკურსის ლაურეატი, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ზაირბეგ გურჯიბეკოვის ხელმძღვანელობით. ანსამბლის დირიჟორია რაგნიდო გერმანი, ბალეტმეისტერი — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბატირბეკ სპოეევი.

ანსამბლმა წარმატებით შემოიარა ყაბარდო, გროზნო, ჩაჩნეთ-ინგუშეთი, დონბასი.

თბილისელები მოხიბლა ანსამბლის მიერ ოსტატურად შესრულებულმა ოსურმა სიმღერებმა და ცეკვებმა. არაერთხელ იქნა განმეორებული. სიუჟეტური ცეკვა „ბაემანი“, „ახალგაზრდობის ცეკვა“, „ქალთა ცეკვა“ და განსაკუთრებით „ოს მოჯირითეთა ცეკვა“.

ცეკვების გარდა ანსამბლის პროგრამაშია ოსური, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერები.

გარდა თბილისისა ანსამბლი კონცერტებს გამართავს გორში, სტალინირში, რუსთავსა და ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

## „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულად

**შარშან** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. უზნაძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა უნგრეთში.

ვ. უზნაძემ ინახულა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, შეისწავლა იქ არსებული ქართული ლიტერატურის ფონდი, სხვა საინტერესო წიგნებს შორის მან იქ ნახა უნგრულ ენაზე თარგმნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ვ. უზნაძემ მაშინ სთხოვა უნგრულ ამხანაგებს გადაეღოთ ამ თარგმანის მიკროფილმი და გამოეგზავნათ თბილისში.

ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკიდან მართლაც მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის მიკროფილმი.

„ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანი, როგორც ცნობილია, დაიბეჭდა 1917 წელს პროფესორ ბელა ვიკარის თარგმანით. იგი ბელა ვიკარმა გააკეთა ესპერანტოს საშუალებით უნგრეთში მყოფი ქართველის ცისკარაულის დახმარებით, რომელმაც ესპერანტო კარგად იცოდა. ცისკარაული ექვსი თვის განმავლობაში უთარგმნიდა ბელა ვიკარს „ვეფხისტყაოსანს“ უშუალოდ ქართულიდან ესპერანტოზე.

თარგმანი გამოვიდა მ. ზიჩის მიერ შესრულებული სურათებით, სულ მოთავსებულია 26 სურათი.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა მიკროფილმიდან გადაიღებს ფოტოპირებს, რაც, უდავოა, სპეციალისტთა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

**ს. თურნავა.**

## სახალხო თეატრის წარმატება

**დუშეთი.** (საკ. კორ.). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიონის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მაყურებლებს უჩვენა ვ. კახდელაკის „მაია წყნეთელი“ და ვ. გუნიას ისტორიული დრამა „ორი გმირი“. როლების კარგი და ბუნებრივი შესრულებით საერთო მოწონება დაიმსახურეს ვ. გოზიტაშვილმა, ვ. გამიაშვილმა, ე. ბურდულმა, ტ. მოლოდინმა, ი. კაკალაშვილმა, ჯ. ბადაგაძემ და სხვებმა.

თეატრი საგასტროლოდ იყო მეზობელ ყაზბეგის რაიონშიც. ამას წინათ დუშელი მსახიობები ეწევიენენ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ორჯონიკიძეს და სპეტაკელი „ორი გმირი“ უჩვენეს ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებს. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. მაყურებლებმა გულწრფელი ტაშით დაჯილდოს თეატრის მზრდელი კოლექტივი.

გაზეთმა „სოციალისტიჩესკაია ოსეტიამ“ სახალხო თეატრის დადგმას მიუძღვნა სპეციალური რეცენზია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართველმა მსახიობებმა მოხიბლეს მაყურებლები. იყო წუთები, როცა გვაივწყდებოდა, რომ ჩვენს წინაშე თვითმოქმედი კოლექტივია და არა პროფესიული დასი. მადლობა ქართველ მეგობრებს ამ სიამოვნებისათვის.

ამჟამად თეატრი დასადგმელად ამზადებს ი. მოსაშვილის პიესას „გზა მომავლისა“.

თეატრის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ მის ხელმძღვანელებს ს. უმბრიეველსა და ვ. გოზიტაშვილს.

# ნ ა თ ე ლ ი ა ზ რ ი

## მეცნიერება შვიდწლედის სამსახურში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს. მაგალითად, მეტალურგიის ინსტიტუტში მოეწყო შედეგების წარმოების ლაბორატორია. მის წინაშე დასმულია ამოცანა მაქსიმალურად გაფართოოს შედეგების უახლესი მეთოდების დანერგვა რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო მრეწველობაში. ამჟამად ლაბორატორია პრაქტიკულად მუშაობს ელექტრომავლის დეტალების შედეგებზე და შედეგების რაციონალური მეთოდების დასანერგავად ყარაგანდა-თბილისის გზსადენის მშენებლობაზე. მომავალი წლიდან ლაბორატორიის მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდება. მეცნიერ მუშაკთა სპეციალური ჯგუფი იკვლევს მეტალიზაციის პროგრესულ მეთოდებს, რაც რესპუბლიკის სამრეწველო და სარეკონტრო საწარმოებში დაინერგება. ეს მუშაობა წარმოებს ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავლებმშენებლო, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნებში, ქუთაისის ქარხანა „მაღარიელში“ და თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში. დაწყებულია მუშაობა ყარადაღის იაფი გაზის გამოსაყენებლად სათბობად მეტალურგიულ მრეწველობაში. ეს გამოიწვევს მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციას და კოქსის ეკონომიურ ხარჯვას. ინსტიტუტის სპეციალისტებმა ლაბორატორიულ პირობებში მიიღეს იაფი უნიკალური უანგავი ფოლადი. ახალი მარკების ფოლადებმა კარგი ტექნიკური და საექსპლოატაციო თვისებები გამოავლინა. ზესტაფონის ფერომანგანდნობთა ქარხანაში ეწყობა საგანგებო დანადგარი, რომლის მუშეობით გააკეთებენ ცდებს მაღალხარისხოვანი ლიგატურის მისაღებად.

იქვე მოეწყო ფერომანგანდნობთა ელექტროდნობა დახურულ ღუმელში, რომლის კონსტრუქცია ინსტიტუტმა შეიმუშავა. მიღებული შედეგები გვარწმუნებს, რომ ამ სამუშაოებზე მოძველებული ღია ღუმელების შეცვლა დახურულით შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მეტად განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია. გავაუმჯობესოთ მომსახურე პერსონალის შრომის პირობები და სხვ. საბჭოთა კავშირის სხვა ფერომანგანდნობთა ქარხნების თხოვნით ინსტიტუტი ანალოგიურ მუშაობას ეწევა ჩელიაბინსკისა და ზაპოროჟიეს მონათესავე საწარმოებისათვის. ფართოდ არის გაშლილი მუშაობა ისეთი ავტომობილის შესაქმნელად, რომელიც მთაგორიან ადგილებში იმოძრავებს. ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გამოუშვა პირველი ექსი მანქანა დამუხრუჭების დამატებითი სისტემით. ამჟამად მათ საწარმოო პირობებში ამოწმებენ.

ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი საგრძნობლად აფართოებს მუშაობას პროგრამული მართვის მქონე სახარატო ჩარხების შესაქმნელად. მომდინარე წლის ბოლომდე აღიჭურვება ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში აგებული ჩარხის „163“-ის მართვის პროგრამული სისტემა. იგი უზრუნველყოფს რთული დეტალების უხარატოდ დამუშავებას პროგრამის მიხედვით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ინსტიტუტთან ერთად დაწყებულია მუშაობა ბლუმინგის დამქერი მოწყობილობის ავტომატური მართვისათვის. ძლიერდება მუშაობა ტექსტების მანქანური წესით გადასაწერად, ავტომატური რეგულირების თვითმმართველი სისტემებისა და ხმოვანობის ახალი ელემენტების შესაქმნელად. შექმნილია ახალი ლაბორატორია, რომელიც მუშაობს ბგერითი სიგნალების გამოსაყენებლად მანქანების ავტომატური მართვისათვის. დაწყებულია საკვლევაძიებო მუშაობა ჩაის, ციტრუსების პლანტაციებსა და ვენახებში ავტომატიზაციის დასანერგავად, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების პროგრამული მართვის განსახორციელებლად.

ელექტროქიმიისა და გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტებიც მთელ რიგ საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მაღალი წარმადობის მქონე საამქროს აგება კალიუმის პერმანგანატის მისაღებად. ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა დაამთავრეს საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენა და გადასცემენ საპროექტო ორგანიზაციებს. შვიდწლედში დაგეგმილია აგრეთვე მანგანუმის ორკანგის მისაღებად მძლავრი საამქროს აშენება. წელს დამთავრდება საექსპერიმენტო სამუშაოები, რომლებიც რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მიმდინარეობს.

ინსტიტუტში დამუშავებულია სუსტად შეცხობადი და გაზოვანი ნახშირების დაკოქსვის ტექნოლოგია. ტყიბულის ნახშირიდან მიღებულია მაღალხარისხოვანი კოქსი. ამჟამად ამრეკექტებენ საცდელ-სამრეწველო დანადგარს, რომელიც ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავებდა. დაკოქსვის ახალი წესის შემოღება ტყიბულისა და შაორის ნახშირების გამოყენებით გაფართოვებს რესპუბლიკის სათბობ ბაზას, გაათავისუფლებს ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას შორეული რაიონებიდან კოქსის შემოზიდვისაგან.

ალ. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი სწავლობს ჰიდროელექტროსადგურებისათვის მაღალი კაშხლების მშენებლობის საკითხებს. გამოანგარიშებულია, რომ რიონსა და ენგურზე რაციონალური ტიპის მაღალი კაშხლების აგებით კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ღირებულება 2-3 კაპიკიდან ერთ კაპიკამდე დაიწევს.

სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს მიწისქვეშა ლითონის მილგაყვანილობის, კაბელების და მიწისქვეშა სხვა კომუნიკაციების კოროზია. ენერგეტიკის ინსტიტუტში მეტალურგიისა და გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტებთან ერთად მიმდინარეობს კოროზიასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებათა შემუშავება. ამ საქმის სახელმძღვანელოდ აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია.

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი მუშაობს მანქანათმშენებლობაში წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის გამოყენების შესაძლებლობის გამოკვლევაზე. რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების თანამედროვე ტექნიკური დონე საშუალებას იძლევა წინასწარ დაძაბული რკინაბეტონი გამოყენებულ იქნას არა მარტო სამშენებლო საქმეში, არამედ მანქანათმშენებლობაშიც. ეს მოგვცემს ლითონის საგრძნობ ეკონომიას, გააიაფებს მანქანების ღირებულებას. შექმნილია შენობათა და ნაგებობათა დამპროექტებელი საექსპერიმენტო განყოფილება. იგი შეიმუშავებს ახალი სამშენებლო ტექნიკის დანერგვის მეთოდებს.

მ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტი იკვლევს სასარგებლო ნამარხთა დამუშავების რაციონალურ მეთოდებს, სწავლობს შახტების მეკანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ. ამჟამად მოეწყო ახალი ლაბორატორია, რომელიც იკვლევს ნავთობის საბადოებს. მიმდინარეობს აგრეთვე საჰაერო-საბაგირო გზების შესწავლა.

გადაწყვეტილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში შეიქმნას საცდელი პოლიგონი, სადაც მოეწყობა სამრეწველო მასშტაბის ექსპერიმენტები. ეს დაჩქარებს დადებითი შედეგების დანერგვას წარმოებაში.

**კ. რუსიტაშვილი.**

* * *

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ავტომატური რეგულირებისა და მართვის განყოფილებაში. სურათზე:** ინჟინერი ი. ლომთათიძე (მარჯვნივ) და ტექნიკოსი გ. ბაევი მუშაობენ თვითმოსამართავი სისტემის ბლოკის მომართვაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.



## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

**მაიაკოვსკი** რაიონის სოფელ ობჩის ისტორიული ძეგლი „ხობის საყდარი“ თანდათანობით ზიანდება. კედლებზე შესრულებული მხატვრობა ირეცხება და კარგავს პირვანდელ სახეს, მზრუნველი კი არა ჩანს, — აღნიშნული იყო გაზეთ „კომუნისტის“ 27 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ „მოკლე სიგნალებში“.

ამ სიგნალთან დაკავშირებით პარტიის მაიაკოვსკის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ განხორციელებულია ღონისძიებანი რაიონში არსებული ისტორიული ძეგლების აღრიცხვისა და დაცვისათვის. „ხობის საყდარს“ დაენიშნა ფასიანი მცველი. მიღებულია ზომები მისი შეკეთებისათვის.

## პ რ ე ს ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

# კეთილშობილური თემა

პარტიის XXI ყრილობის შემდეგ ტყიბულის რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით ასეთ სათაურებს: „შვიდწლედის დიადი პროგრამა“, „ძველი ძალები შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის“, „შვიდწლედი მოქმედებაში“, „შვიდწლედის ადამიანები“. გაზეთს ნათლად, დამაჯერებლად მიაქვს მშრომელთა შეგნებამდე პარტიის დიდი იდეები.

შეუძლებელია ტყიბულელმა მეშახტეებმა აუცილებლად წაიკითხონ და კანონიერი სიამაყის გრძნობით არ განიმსჭვალონ, როცა გაეცნობიან გაზეთის შემდეგ სტრიქონებს:

„**შვიდწლედში ტყიბულში უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 70 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. ამავე პერიოდში აშენდება ახალი საშუალო სკოლა, კავშირგაბმულობის ადმინისტრაციული სახლი, საავადმყოფო, კინოთეატრი. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა კულტურის სახლი, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი იქნება მთელ ტყიბულში. ხარაჩოებშია პიონერთა სასახლე. მარტო ეს ორი მშენებლობა 14 მილიონ მანეთზე მეტი ჯდება. შვიდწლედში დიდი თანხები დაიხარჯება ქალაქის კეთილმოწყობაზე, მის გამწვანებაზე, სკვერებისა და ბაღების გაშენებაზე**“.

გაზეთმა ერთიმეორის მიყოლებით რვა ნომერში დაბეჭდა მიმზიდველად გაფორმებული თემატური გვერდები საერთო სათაურით: „შვიდწლედის დიადი ჰორიზონტები“. ცოცხალი საუბრის საშუალებით გაზეთი მკითხველებს აცნობს ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის და გელათის მეშახტეებში ქვანახშირის ამოღების გაიდეების პერსპექტივებს. წერილების, ნარკვევების, რეპორტაჟების ავტორები ცოცხლად, საინტერესოდ აგვიწერენ, თუ როგორ შეიცვლება მეშახტეთა შრომისა და ცხოვრების პირობები შვიდწლედში.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა რედაქციამ, როცა ამას წინათ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდა ტყიბულელ მშრომელთა კითხვები და მათზე ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის ლ. რატიანის პასუხები. ამ პასუხების საშუალებით მეშახტეები ეცნობიან მათთვის საინტერესო ისეთ საკითხებს, როგორიც არის შაორის ქვანახშირის საბადოს დამუშავებისა და ექსპლოატაციის პერსპექტივები, შვიდწლედში ტყიბულელ მეშახტეთა საბინაო ფონდის გაფართოების ღონისძიებანი და სხვ.

გაზეთი როდი კმაყოფილდება მარტო იმის ჩვენებით, თუ რა სარგებლობას მოუტანს მშრომელებს პარტიის მიერ დასახული დიადი გეგმის განხორციელება. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ გეგმის განხორციელებლად, მოუწოდებს მშრომელებს დაიკავონ თავიანთი ადგილი შვიდწლედისათვის ბრძოლაში და აიღონ ახალი ზღუდეები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაზეთის თემატური გვერდები, რომლებიც მოთავსებულია მუშკორების, ნოვატორების მოკლე და შინაარსიანი წერილები.

ჩვენს წინ არის გაზეთის ივნისის ერთ-ერთი ნომრის მესამე გვერდი. მკითხველს თვალში ეცემა მოკლე, ლაკონიური სათაური „შვიდწლედი — მოქმედებაში“. აქ ყურადღებას იქცევს რეპორტაჟი „შვიდწლედის ახალ ჰორიზონტებზე“. იგი შეეხება სტალინის სახელობის შახტის მესამე ჰორიზონტის მშენებლობას. ამავე შახტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. ხოჭოლავა მკითხველს მოუთხრობს, თუ როგორ იბრძვიან მეშახტე კომკავშირელები მეტი ქვანახშირის ამოსაღებად. შვიდწლედის პირველი წლის დაკალებათა შესასრულებლად. ინჟინერი შ. კუბლაშვილი წერილში „მოწინავე ბრიგადა“ მკითხველებს უამბობს იმ ზეინკალთა ბრიგადის მუშაობის წარმატებებზე, რომელსაც ახალგაზრდა მექანიზატორი გ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობს. მუშკორები ა. კუპრეიშ

# ყოველი მხრიდან

## ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

**ვაშინგტონი**, 25 აგვისტო. საკდესის ვაშინგტონელი კორესპონდენტი ვ. პარამონოვი იუწყება: დღეს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ისახავს ევროპაში გამგზავრების დროს, აგრეთვე პასუხი გასცა კორესპონდენტთა კითხვებზე. პრეზიდენტმა განაცხადა ევროპაში იმისათვის მივდივარ, რომ კვლავ დავადასტუროთ ამერიკის ერთგულება „პატიოსანი და სამართლიანი მშვიდობის“ საქმისადმი, აგრეთვე მხარი დავუჭირო იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ აგრესიას, გამოიყენონ ამისათვის, თუ საჭირო გახდა ძალა.

ეიზენჰაუერმა შემდეგ თქვა, რომ ევროპის მთავრობათა წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს იგი წინადადებას შეიტანს კვლავ განაცხადონ, რომ დასავლეთი მზად არის აწარმოოს საბჭოთა კავშირთან რეალისტური მოლაპარაკება ყოველგვარი კეთილგონივრული გეგმის შესახებ, რომელიც შეეხება საერთო ან ნაწილობრივ განიარაღებას, აგრეთვე რომ მზად არის დასაბამი მისცეს იმ პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც შეეხება დანაწილებულ გერმანიას და განახორციელოს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებას.

პრეზიდენტმა აგრეთვე თქვა, რომ ნატოს ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებაში მას განხრახული აქვს კვლავ დაადასტუროს, რომ შეერთებული შტატები ამ სამხედრო ბლოკის „ერთგული არიან“. ევროპაში მოლაპარაკების დროს პრეზიდენტი, როგორც მან თქვა, აპირებს აგრეთვე განიხილოს გზები და მეთოდები დასავლეთის ქვეყნების ეფექტიანი თანამშრომლობისა იმ მხრივ, რომ „დახმარება“ გაუწიონ ეგრეთწოდებულ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მათი ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლებისათვის.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ეიზენჰაუერმა შემდეგი პასუხი გასცა შეკითხვებზე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ტრუმენის სტატიასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია ამერიკის გაზეთებში, ტრუმენისა, რომელიც გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლის წინააღმდეგ. როცა ეიზენჰაუერს სთხოვეს განემარტა ტრუმენის მტკიცება: ეიზენჰაუერის გამგზავრებას შეუძლია ზიანი მიაყენოს შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესტიჟსო, მან მტკიცე ტონით ხაზი გაუსვა, რომ ცივ ომთან და გამღვნებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით უნდა ვფიქრობდეთ არა იმაზე, ზიანს მიაყენებს თუ არა გამგზავრება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესტიჟს, არამედ უნდა შევეგნოთ, რომ ვიზიტების მომავალი გაცვლა დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებიც მთელი კაცობრიობის ბედს ეხება.

ვიზიტების მომავალი გაცვლის კრიტიკოსებს, როგორც ეიზენჰაუერმა თქვა, ავიწყდებათ, რომ შეერთებული შტატები ყოველწლიურად ხარჯავენ შეიარაღებაზე 40 მილიარდ დოლარზე მეტს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უზარმაზარი სახელმწიფო ვალის ზრდას და თქვა, რომ თუ შეიარაღების ხარჯების ზრდის ასეთი ტენდენციები და ამასთან სახელმწიფო ვალის ზრდა კვლავ გაგრძელდა, ჩვენი ქვეყანა შეიძლება უბედურებაში ჩავარდესო.

პრეზიდენტმა შემდეგ განაცხადა, რომ საჭიროა დაფიქრდეთ აგრეთვე საკითხზე, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს გამალებული შეიარაღება და დაძაბული მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში. მისი სიტყვით, საჭიროა იფიქრონ იმაზე, ხომ არ მივიდა მსოფლიო იმ წერტილთან, სადაც შეიძლება აფეთქება მოხდეს?

საკითხი, პრეზიდენტის სიტყვით, ეხება ფრიად სერიოზულ საქმეს, რომელიც დაკავშირებულია კაცობრიობის ბედთან. ამერიკელი ხალხი, როგორც ეიზენჰაუერმა განაცხადა, სასტიკად დაგმობდა ყოველ პრეზიდენტს, რომელიც ასეთ ვითარებაში უარს იტყოდა თავისი უფლებამოსილება, ძალა და ენერგია გამოეყენებინა, რათა ცდილიყო გამოენახა ახლანდელი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა.

უპასუხა რა კორესპონდენტის კითხვაზე, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ, რა თქმა უნდა, არარეალისტური იქნება ვიფიქროთ, რომ გარემოებანი ვერ მოახდენენ გავლენას სსრ კავშირში გამგზავრების შესახებ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მე უკვე მივიღეო. მაგრამ რაც შეეხება ახლახანდელ მომტენტს, პრეზიდენტს, როგორც მან თქვა, მიაჩნია, რომ იგი უნდა წავიდეს საბჭოთა კავშირში, თუ საბჭოთა მთავრობის მეთაურთან მომავალი შეხვედრა არ გააუარესებს მაინც ახლანდელ მდგომარეობას.

უპასუხა რა კითხვაზე ლაოსში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს მისთვის არ წარუდგენია რაიმე მემორანდუმი, რომელშიც ლაოსის ახლანდელი ამბები დახასიათებული იყოს როგორც „შეჭრა“. ამასთანავე ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა სასწრაფოდ განიხილავს იმ საკითხს, რომ გაუწიოს ლაოსს „ფინანსური“ დახმარება ამ ქვეყნის მთავრობის „პოლიციის შენაერთების“ გასაძლიერებლად, გამოიყენოს ამისთვის სეატოს ხელშეკრულების დებულება.

პრეზიდენტს შეეკითხნენ აგრეთვე, თუ როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ეგრეთწოდებული „დამონებული ხალხების“ საკითხში, გულისხმობენ რა ამით სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებს. ამის პასუხად ეიზენჰაუერმა თქვა. მე უკვე არა ერთხელ გამომითქვამს აზრი ამის თაობაზეო. მან აშკარად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხში განაგრძობენ წინანდელ პოლიტიკას, გამოიყენებენ თავიანთ განკარგულებაში არსებულ მთელ სამშვიდობო საშუალებებს.

ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას იმის შესახებ, უნდა განაგრძონ თუ არა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური იარაღის გამოცდა ენევის მოლაპარაკების დამთავრებამდე და მოლაპარაკებაში შესვლების ვადის ვასვლამდე.

### პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ევროპაში გამოემგზავრა

**ვაშინგტონი**, 26 აგვისტო. (საკდესი). შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დღეს ევროპაში გაფრინდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებთან მოსალაპარაკებლად.

### პაგოუშის კონფერენცია

**ოტავა, 25 აგვისტო. (საკდესი). პაგოუშში (კანადა) თვალსაჩინო ამერიკელი მრეწველისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრის საირუს იტონის მამულში დღეს გაიხსნა პაგოუშის მორიგი კონფერენცია.**

**კონფერენცია 30 აგვისტომდე გასტანს და განიხილავს ბიოლოგიური და ქიმიური ომის საფრთხესთან დაკავშირებულ საკითხებს.**

**პაგოუშის კონფერენციაში მონაწილეობს კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების 25 მეცნიერი, მათ შორის სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერი მოღვაწეები.**



**რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის მართვის პულტი.**
ფოტო ი. გრეკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## თათბირი კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიის შესახებ

**ბუქარესტი**, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც რუმინეთის პრესის სააგენტო იუწყება, დღეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ შტეფან გეორგიუს სახელობის უმაღლესი პარტიული სკოლის შენობაში გაიხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტების და კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიის კომისიების წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ ალბანეთის, ავსტრიის, ინგლისის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიის, ინდოეთის, ინდონეზიის, იტალიის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, შვეიცის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და ჩილის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, აგრეთვე ჟურნალ „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემების“ წარმომადგენელი.

## ბრიტანეთის გვიანა დამოუკიდებლობას მოითხოვს

**ლონდონი**, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჯორჯტაუნიდან იუწყებიან ბრიტანეთის გვიანის (ინგლისის სამფლობელო ლათინურ ამერიკაში. — რედ., შენიშვნა.) საკონსტიტუციო კომიტეტის მეტმა წევრმა წვრილმა კოლონიის გუბერნატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში მოითხოვეს, რომ ბრიტანეთის გვიანას დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა, დაარსდეს ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო და შენარჩუნებულ იქნას არსებული საარჩევნო სისტემა.

კომიტეტი დანიშნა ბრიტანეთის გვიანის გუბერნატორმა რეკომენდაციათა შესამუშავებლად ამ კოლონიის ახალი კონსტიტუციის მომზადებასთან დაკავშირებით.

ბრიტანეთის გვიანის წინა კონსტიტუცია 1958 წელს გაუქმდა.

## საპროტესტო ნოტა

**ბერლინი**, 25 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტომ გამოაქვეყნა ტექსტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი იმ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც ამა წლის 21 აგვისტოს დასავლეთ გერმანიიდან მოახდინეს სახელმწიფო საზღვარზე ნორდჰაუზენის (ერფურტის ოლქი) რაიონში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია ნოტაში, არ შეუძლია ეს პროვოკაცია არ დაუკავშიროს დასავლეთ გერმანიაში ამჟამად გაბატონებული წრეების იმ მეცადინეობას, რომ ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი ყოველგვარ ნაბიჯს, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ურთიერთგაგების დამყარება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უმკაცრეს პროტესტს აცხადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის დარღვევის წინააღმდეგ და მოელის, რომ გერმანიის ფედერაციული მთავრობა პასუხს აგებინებს დამნაშავეებს და ყოველ ღონეს იხმარს ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.

## სახალხო ჩინეთის ათი წლისთავის შესახვედრად

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თათბირის სხდომა

**პეკინი**, 24 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ-შაო-ციმ მოიწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თათბირის მე-17 გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხები: შემდგომი ნახტომი სახალხო მეურნეობის განვითარებაში წელს და წარმოების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის მოძრაობის შემდგომი გაშლა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე ჯოუ ენ-ლაიმ გააკეთა მოხსენება, რომელშიც აცნობა სხდომას, თუ როგორ სრულდება სახალხო სამეურნეო გეგმა წლის პირველ ნახევარში და დასახა შემდეგი ამოცანები: გაგრძელდეს მთელი ძალების დაძაბვა, გაიშალოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და კოსერვატიზმის წინააღმდეგ, განვითარდეს მოძრაობა წარმოების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის. შემდეგ განიხილეს მოხსენება. სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიწონეს სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მოხსენება. ეს მოხსენება გადაეცემა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს.

ჯოუ ენ-ლაის მოხსენების განხილვის დასასრულს დიდმნშვნელოვანი სიტყვა საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ.

სხდომაზე გამოვიდნენ გომინდანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩენ ციანი, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის თავმჯდომარე შენ ძიუნ-ჟუ, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის თავმჯდომარის მოადგილე ან მინ-სიუანი, დემოკრატიული ეროვნული მშენებლობის ასოციაციის თავმჯდომარე ხუან იან-ჰეი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩენ შუ-ტეხი, საზოგადოება „ძიუსანის“ თავმჯდომარე სიუი დე-ხენი, მუშურ-გლეხური დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ძი ფანი, დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ვან შაო-აო, პარტია „ჯიგუნდანის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ჩენ ციიუ. ყველა ორატორმა კმაყოფილება გამოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობისა და იმ ღონისძიებათა გამო, რომლებიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ განახორციელეს. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას წარმოების გადიდებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის შესახებ და წინადადებით მიმართეს მთელ ხალხს უფრო ფართოდ და ღრმად გაშალოს ძლიერი მოძრაობა წარმოების გადიდებისა და მომჭირნეობის, რეჟიმის დაცვისათვის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა ფრონტზე იმ მიზნით, რომ ახალი ბრწყინვალე მიღწევებით შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დიად 10 წლისთავს და განახორციელონ შემდგომი ნახტომი სახალხო მეურნეობის განვითარებაში 1959 წელს.

## ავღანეთის მეფის განცხადება

**ქაბული**, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც ქაბულის რადიო იუწყება, ავღანეთის დამოუკიდებლობის დღის გამო მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰმა წარმოთქვა სიტყვა. მან აღნიშნა წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ავღანელმა ხალხმა ცხოვრების ყველა დარგში.

მშვიდობა სასიცოცხლოდ საჭიროა ყველა ხალხისათვის, მსოფლიოს ყველა ნაწილისათვის, თქვა მეფემ. ხალხთა თავისუფლების, ყოველი-ხალხის მიერ თავისი ბედის მოწყობის უფლებათა აღიარებას პირდაპირი კავშირი აქვს მშვიდობისა და მყუდროების დაცვასთან.

მეფემ უსურვა წარმატებანი იმ ხალხებს, რომლებიც ესწრაფვიან დამოუკიდებლად განაგონ თავიანთი ბედი.

შეეხო რა პუშტუნისტანის პრობლემას, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანეთს სურს, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას სამართლიანობის საფუძველზე და მშვიდობიანი საშუალებებით. სამწუხაროდ, არის მოვლენები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ამ გეოგრაფიული რაიონის უშიშროებას.

ავღანეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველია, განაგრძო მეფემ, მშვიდობა და ურთიერთობის განმტკიცება მეგობარ ქვეყნებთან. ავღანეთი დარწმუნებულია, რომ მისი მიზნებისა და მისი ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის, უშიშროების, ურთიერთგაგებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში. ამიტომ ავღანეთი მხარს უჭერს მშვიდობას, ესწრაფვის მეგობრობას ხალხთა შორის, ამიტომ ავღანეთი იცავს ნეიტრალიტეტისა და ყველა ხალხთან მეგობრობის პოლიტიკას.

ავღანეთი, განაცხადა მუჰამედ ზაჰირ შაჰმა, მიესალმება დიდ სახელმწიფოთა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ურთიერთგაგება და სადავო საკითხების გადაჭრის გზების გამონახვა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობათა მეთაურების მომავალი ურთიერთ ვიზიტები, მათი პირადი კონტაქტები გვინერგავენ მთელი მსოფლიოს უკეთესი მომავლის იმედს.

ჩვენ ღირსეულად და კმაყოფილებით ვფასობთ დახმარებას, რომელსაც მეგობარი ქვეყნები გვიწევენ ავღანეთის ეკონომიური განვითარებისათვის, თქვა მეფემ. ამ დახმარებამ უკვე მოიტანა დადებითი შედეგები.

შეთანხმებანი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების შესახებ, რომლებიც ამას წინათ დაიდო საბჭოთა კავშირის მთავრობასთან, ავღანეთისადმი დიდი დახმარების ახალი გამოხატულებაა. ეს შეთანხმებანი, თქვა დასასრულ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა, ხელს შეუწყობენ ავღანეთის შემდგომ განვითარებას.



**სოხუმი. ლენინის სახელობის ქუჩის ხედი სანაპირო პარკთან.**
ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## გვინეის რესპუბლიკის პარლამენტარები საქართველოში

გვინეის რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის წევრები კვლავ ეცნობიან საქართველოს ეკონომიკას, კულტურას, მშრომელთა ყოფაცხოვრებას.

26 აგვისტოს დილით აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს წარმომადგენლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მ. ა. ბიბილაშვილის, ბ. ვ. ლორთქიფანიძის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკის გ. ი. ჩარეკიშვილის თანხლებით ავტომანქანებით გაეგზავნენ რუსთავში. ფუნდამენტურმა სახლებმა, ფართო ქუჩებმა და მოედნებმა, ქალაქის მშვენიერმა მწვანე მორთულობამ, რომელიც უდაბურ ველზე გაშენდა ომისშემდგომ წლებში, სტუმრების აღტაცება გამოიწვია.

ეს ქალაქი, თქვა დელეგაციის წევრმა კონდე ემილმა, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის განსახიერებაა.

რუსთავიდან სტუმრები გაეგზავნენ თბილისის ზოოვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. სტუმრებს გააცნეს ქართველ მეცნიერთა ნაყოფიერი მუშაობა სოფლის მეურნეობაში ორგანული ნარჩენების ბიოენერგეტიკული გამოყენების დარგში. ეს მუშაობა აღინიშნა ევროპის ეკონომიური კომისიის მეექვსე სესიაზე ჟენევაში.

გვინეის რესპუბლიკის პარლამენტარები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საბჭოთა კავშირში პირველი ბიოენერგეტიკული დანადგარით, რომელსაც აქ ამუშავებენ. დანადგარის ავტორმა დოცენტმა გ. ანანიაშვილმა სტუმრებს გააცნო დანადგარის მოქმედება, აცნობა მათ, რომ ყოველ ასეთ დანადგარს შეუძლია გამოიმუშაოს დღეღამეში 250-დან 1000 კუბურ მეტრამდე გაზი, რაც საკმაოდ საკმარისია ერთი დიდი საბჭოთა მეურნეობის გაზიფიკაციისათვის.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატში.

26 აგვისტოს საღამოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დარბაზობა გამართა გვინეის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრი, მუდმივი ეროვნული მდივანი კამარა დიუდა. დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. დარბაზობამ დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

## სპორტის ამბავი

### ევროპის ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში

მორიგი, რიცხვით ევროპის მეცხრამეტე ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაჟთა შორის წელს მოეწყო საფრანგეთის ქალაქ მაკონში მდინარე სონზე. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 21 ქვეყნის სპორტსმენთა უძლიერესი კოლექტივი.

მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ფინალური შეხვედრები. ერთმოსასმელიანი ნავებით დასკვნითი შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობა მეტად ძლიერი იყო. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ივანოვმა ასპარეზობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა. ვ. ივანოვს მიენიჭა ევროპის ჩემპიონის წოდება და გადაეცა ოქროს მედალი. საბჭოთა სპორტსმენებიდან პირველი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ი. ტიუკალოვმა და ა. ბერკუტოვმა.

ოთხ ფინალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს გერმანელებმა. პირველი ადგილი და ოქროს მედლები ხვდათ აგრეთვე შვეიცარიის სპორტსმენებს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოიპოვა გერმანიის სპორტსმენთა კოლექტივმა.

### სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასი

გრძელდება „ბ“ კლასის მესამე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა. ფინალურ ტურნირში გასულს ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვს ერევნის „სპარტაკს“, რომელიც მიმდინარე სასპორტო სეზონში კარგად გამოიჩინა.

მორიგი შეჯიბრება ერევნის სპარტაკელებმა გამართეს თავის მოედანზე კროვბადის „ტექსტილშჩიკის“ წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს. სპარტაკელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:1. ერევნის „სპარტაკს“ 20 თამაშიდან 35 ქულა აქვს.

* * *

25 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „ბ“ კლასის მესამე ზონის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დონის როსტოვის „როსტსელმაშის“ და თბილისის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდები. მატჩის შედეგია 7:4 თბილისის სკვო-ს სასარგებლოდ.

**რედაქტორის მოადგილე**
**დ. სტურუა.**

## თოვლის კაცი?

უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება ხმაური ეგრეთწოდებული „თოვლის კაცის“ შესახებ.

როგორც ცნობილია, ჰიმალაელი მთიელების — შერპების ნაამბობი მათს ქვეყანაში „თოვლის კაცის“ არსებობის შესახებ, რომელსაც ისინი „იეტის“ უწოდებენ, დასავლეთში აიტაცეს სხვადასხვა სენსაციების მოყვარულებმა. ეს ნაამბობი სბაბი გახდა მთელი რიგი ექსპედიციების მოწყობისათვის, რომლებიც სპეციალურად შეუდგნენ „თოვლის კაცის“ ძებნას (რ. იზარდისა 1954 წელს, სინკ-ჯონსონისა 1958 წელს და სხვები). ექსპედიციების ანგარიში გამოქვეყნებულია და ნაწილობრივ ითარგმნა რუსულ ენაზე. ეკითხეთ ეს ექსპედიცია უშედეგოდ დამთავრდა: მათმა მონაწილეებმა ერთსელაც ვერ შეძლეს თუნდაც შორიდან მოეკრათ თვალი „თოვლის კაცისათვის“, მიუხედავად ჭეშმარიტად გმირული ცდებისა მოენახათ ეს არსება.

ძებნის მონაწილეთა ანგარიშებისა და ნაამბობის წაკითხვა უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. პოულობდნენ „თოვლის კაცის“ ახალ კვალს, ბღუჯა ბალანს, მხლოდ წინადღეს რომელიღაც ადგილობრივ მცხოვრებს დაენახა იგი, მაგრამ არც კვალდაკვალ დევნა, არც ადგილის გულმოდგინედ დათვალიერება არავითარ შედეგს არ იძლეოდა: „თოვლის კაცი“ მუდამ უსხლტებოდა მძებნელებს.

1958 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, თითქოს „თოვლის კაცი“ პამირზე დაენახათ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმ ექსპედიციის თანამშრომლებმა, რომელიც ამ რაიონებში მუშაობდა, მოაწყეს მოუხელებელი „თოვლის კაცის“ ძებნა. ექსპედიციამ შეკრიბა მდიდარი მეცნიერული მასალა ბოტანიკის, გეოლოგიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის დარგში, იდუმალი არსება კი ვერ აღმოაჩინა.

მაგრამ საბჭოთა მეცნიერებს შორისაც მოიპოვებიან თოვლის კაცის ძებნის ენთუზიასტები. ბ. ფ. პორშნევისა და ა. ა. შმაკოვის რედაქციით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოუშვა ორი საინფორმაციო ბიულეტენი, რომლებშიც უცნაურად გადახლართულია ჰიმალაის ექსპედიციების ანგარიშების ნაწყვეტები, მონადირეთა ნაამბობი და სხვადასხვა ლეგენდათა და ხალხურ თქმულებათა შინაარსი. ამასთან რედაქტორები, რომლებსაც, როგორც ჩანს, ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვთ იმ ხალხების ყოფაცხოვრებასა და ფოლკლორზე, რომლებშიც ამ ლეგენდებსა და თქმულებებს კრებდნენ, ერთ გროვად უყრიან თავს „საკუთარი თვალით მნახველთა“ ყოველნაირ შემთხვევით ნაამბობსაც და ფართოდ გავრცელებულ ფოლკლორულ ხიუჟეტებსაც. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ბიულეტენის პირველ ნაკვეთში მე-9 გვერდზე დაბეჭდილია პროფესორ რინჩენის ცნობა მონღოლეთიდან ალამასის შესახებ, რომელიც თითქოს დაუყრია და ცდილობს მოკლას ახლადშობილი ბავშვი.

„თოვლის კაცის“ საკითხზე საინფორმაციო ბიულეტენში ალმასტის შესახებ ნაამბობი ისევე წარმატებით შეიძლება მოიყვანო, როგორც „თოვლის კაცის“ არსებობის დასადასტურებლად მოგაყვიდეს სხვადასხვა ლეგენდები და თქმულებები ტყის კაცზე, ქაჯზე, ჭინკებზე და სხვ. კიდევ კარგი, რომ ბიულეტენი მხოლოდ 400 ეგზემპლარი ტირაჟით არის გამოცემული.

მაგრამ აი ჩვენს წინაშეა 1959 წლის მეოთხე ნომერი ჟურნალისა „ტექნიკა — ახალგაზრდობას“, რომელიც 580.000 ეგზემპლარი ტირაჟით გამოდის. „თოვლის კაცის“ „სპეციალისტებს“ აქვე შეუღწევიათ. 31-34 გვერდებზე მოთავსებულია სტატია დამაინტერესებელი სათაურით „ვინ არის იგი? მეცნიერების გადაუწყვეტელი პრობლემებიდან“. სტატიას წინ უძღვის სოლიკამსკელი მასწავლებლის ვ. დ. სოლოვიოვის წერილი. მას აინტერესებს, რატომ არის, რომ უკანასკნელ ხანს პრესაში კვლავ იბეჭდება ცნობები „თოვლის კაცის“ შესახებ, და სავსებით ბუნებრივად იძლევა კითხვას: „განა რაიმე სიახლეა თოვლის კაცის ძებნაში?“. და აი ამ კითხვის პასუხად სტატიაში წერენ: „დიახ, არის სიახლე“, და ხელახლა ბეჭდავენ მასალებს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბიულეტენებიდან, მათ შორის ზემოთ მოხსენიებულ ნაამბობს ალამასის შესახებ.

შემდეგ უურნალის „ტექნიკა — ახალგაზრდობას“ რედაქციას მოპყავს იმ ადამიანთა სამი ნაამბობი, რომლებსაც თითქოს უშუალოდ დაუნახავთ „თოვლის კაცი“, და ღრმაზაზოვან დასკვნებამდე მიდის. რედაქცია იუწყება, რომ შესაძლოა, „თოვლის კაცი“ დღემდე იმიტომ ვერ აღმოაჩინეს, რომ საქმეში ჩაუხედავი ბევრი ადამიანი თუმცა შეხვედრია მას, მაგრამ არ ესმოდა, ვის შეხვედა(!?). ამიტომ ყველა (ეტყობა, პირველ რიგში ახალგაზრდობა) უნდა ჩაებას „თოვლის კაცის“ ძებნაშიო. ამისათვის რედაქციაში უნდა გამოგზავნოთ ყველაფერი, რასაც კი გაიგონებთ და დაინახავთ, ნუ მოერიდებთ, წერს რედაქცია, მოიყვანოთ ლეგენდარული მონაცემები, მეცნიერება ყოველივე ამას გამოიყენებსო.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ჩვენს ქვეყანაში წარმოებს დიდი მუშაობა ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლისათვის, ბუნების მატერიალისტური გაგებისათვის, ფართოდება მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდა. ჩვენ ფანტასტიკის წინააღმდეგი როდი ვართ, ისიც მოგვაჩნია შესაძლებლად, რომ დედამიწაზე სადღაც კიდევ აღმოჩნდეს ახალი, მეცნიერებისათვის უცნობი ბიოლოგიური ნაირსახეობანი. მაგრამ ყოველი ნესნაცია, თანაც მისტიკით საკმაოდ შეზავებული, ორგანულად უცხოა ჩვენი ცნებებისა და ჩვენი მსოფლმხედველობისათვის.

რაც შეეხება საკუთრივ პამირს, იმ ადამიანისათვის, ვისაც დიდხანს უცხოვრია პამირის მთების ძირას და ამ რაიონების ეთნოგრაფიაზე უმუშავნია, სავსებით ნათელია, რომ უკანასკნელივ ყველა ნაამბობი, რომლებთაც ცდილობენ დაანახებუთონ „თოვლის კაცის“ არსებობის შესაძლებლობა, ჩემი აზრით, წმინდა ფოლკლორულ ხასიათის ატარებს. ნუთუ დრო არ არის, რომ „თოვლის კაცზე“ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა თქვან პიოლოგებმა და ანთროპოლოგებმა.

**ნ. კისლიაკოვი,**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ლენინგრადი.

(გაზეთი „ლიტერატურა ი ჟიზნ“, 23/VIII).

## არა, ლეგენდა!

## რადიო

**27 აგვისტო**

**პირველი პროგრამით**

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.15 — ვოკალური ნაწარმოებები ა. გოსტენინის შესრულებით, 12.45 — ა. შავერზაშვილის სიმფონიური სურათი „მტკვარი